

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ლიტერატურული მიეზანი

Literary Researches

№29

2008

ლელა ხაჩიძე

იოანე მინჩხი და იოანე ბოლნელი

ქართული სასულიერო მწერლობა თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს X საუკუნეში. 951 წელს ხანძთის მონასტერში დაიწერა აგიოგრაფიული მწერლობის შედევრი — გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ეს ნაწარმოები ერთგვარად აჯამებს ქართულ აგიოგრაფიას. ამავე დროს, გიორგი მერჩულეს ნაწარმოები, ფაქტიურად, განსაზღვრავს შემდგომდროინდელი (არა მხოლოდ სასულიერო) ქართული პროზის განვითარებას.

X საუკუნის პირველ ნახევარში მიაღწია თავისი განვითარების მწვერვალს ქართულმა ჰიმნოგრაფიამაც. იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, მიქაელ მოდრეკილი და იოანე-ზოსიმე ცალკეულ ეპოქებს ქმნიან ქართული მწერლობის ისტორიაში. მათგან მონოგრაფიულად შესწავლილია იოანე მინჩხის შემოქმედება, რამაც ახლებურად განსაზღვრა არა მხოლოდ ამ ავტორის ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში, არამედ თვით ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დონე და შესაძლებლობები (იოანე მინჩხის პოეზია 1987). იოანე მინჩხი ყველაზე დიდი სახელია რუსთაველის წინააღმდეგ ქართულ პოეზიაში.

ქართული ჰომილეტიკური მწერლობიდან, რომელიც ორიგინალური ნაწარმოებებით არ არის მდიდარი ამავე რანგის შემოქმედად უნდა მივიჩნიოთ იოანე ბოლნელი. მისი შემოქმედების კვლევას ახალი პერსპექტივა დაუსახა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ

1999 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „თონის მრავალთავი“. იოანე ბოლნელის ქადაგებებიც ქართული კლასიკური მწერლობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს.

ამავე რანგში უნდა განვიხილოთ იოანე-ზოსიმეს მოღვაწეობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მემკვიდრეობის შესახებ უკვე არსებობს რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა, იოანე-ზოსიმეს უნივერსალური მემკვიდრეობის კვლევა მომავლის საქმეა.

ამ ოთხი ავტორიდან მხოლოდ იოანე ბოლნელის მოღვაწეობის პერიოდის შესახებაა გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებები - X ან VI-VII საუკუნეები. ეს უკანასკნელი მოსაზრება ემყარება მიქელ თარხნიშვილის მიერ იოანე ბოლნელის ქადაგებების ლიტურგიკული თვალსაზრისით შესწავლას. მ. თარხნიშვილს მოყავს რამდენიმე არგუმენტი: რვაკვირიანი მარხვა, მარხვის კვირა დღეების სახარებისეულ საკითხავთა შინაარსი, ბოლნელის ქადაგებებში დადასტურებული ბიბლიური ციტატების სიძველე, პირველშეწირულის ლიტურგიის და ყველიერის მოუხსენიებლობა და ჟამისწირვის მოკლე, არქაული სახე (თარხნიშვილი 1956: 90, 382).

მ. თარხნიშვილის მოსაზრებას იზიარებს მიშელ ვან ესბროკიც, რომელიც აკონკრეტებს იოანე ბოლნელის მოღვაწეობის პერიოდს და უკავშირებს მას ჰერაკლე კეისრისა და ეპისკოპოს მოდესტოსის ეპოქას (VII ს). მანვე გამოთქვა მოსაზრება ზოგიერთი ფსევდო-ოქროპირისეული ტექსტის იოანე ბოლნელის სახელთან შესაძლო კავშირის შესახებ (ესბროკი 1975: 316).

სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით X საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს იოანე ბოლნელს თამილა მაგალობლიშვილი (კლარჯული მრავალთავი 1991:).

„ათონის მრავალთავის“ გამომცემლებმა ისევე, როგორც თავის დროზე მ. თარხნიშვილმა, ყურადღება გაამახვილეს დიდმარხვის კვირიაკეების საკითხავების ლიტურგიკული თვალსაზრისით შესწავლაზე. მათი დაკვირვებით: „იოანე ბოლნელის ქადაგებები, სახარებისეულ საკითხავთა თემების თვალსაზრისით, ემყარებიან იმავე სისტემას, რაც დასტურდება იერუსალიმურ განჩინებაში, ასევე იერუსალიმური ტრადიციის რიგ ბერძნულ და ქართულ კრებულებში“. განსხვავებას ქმნის საკითხავთა გადანაცვლება და ხორციელის კვირა, სადაც ბოლნელის ქადაგება ემყარება ლუკას სახარებას (7,36-50), იერუსალიმური განჩინება კი — მათეს სახარებას (6,34-7,24) (ათონის მრავალთავი 1999: 76).

მკვლევართა უმეტესობა იზიარებს მიშელ ვან ესბროკის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იოანე ბოლნელი იერუსალიმში მოღვაწე ბერია, ხოლო მისი ქადაგებები სამონასტრო წესისათვისაა განკუთვნილი.

იოანე ბოლნელის ჰომილიების უმეტესობა ეძღვნება დიდმარხვის პერიოდს და განკუთვნილია დიდმარხვის კვირა დღეებისათვის.

ამავე პერიოდს ეძღვნება მინჩხის მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილიც. იოანე მინჩხს მცირე ფორმის საგალობლები - სტიქარონები დაუწერია დიდმარხვის, ფაქტიურად, ყოველი დღისათვის. დიდმარხვის კვირიაკეებსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დღესასწაულებზე, როგორც წესი, დადებულია მინჩხის არა ერთი, არამედ რამდენიმე მცირე ფორმის საგალობელი. ბზობის კვირიაკესა და ვნების შვიდეულში კი ჩნდება მისი ჰიმნოგრაფიული კანონებიც.

ამრიგად, ორივე ავტორისათვის დიდმარხვის პერიოდი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ასახვა ზოგადი ტენდენციისა. კვლევამ ნათელყო, რომ XXI სს-ების სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში ზატიკისათვის განკუთვნილი მასალა, მარხვის მასალასთან შედარებით, გაცილებით ნელა ვითარდება (იოანე მინჩხის პოეზია 1987: 21). დიდმარხვის პერიოდისადმი ეს ინტერესი დაგვირგვინდა კიდევ I ქართული „მარხვანის“ შედგენით, რომლის რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი იყო იოანე მინჩხი.

მონოგრაფიაში „იოანე მინჩხის პოეზია“ ყურადღებაა გამახვილებული მინჩხის „მარხვანისათვის“ განკუთვნილი საგალობლების ლიტურგიკული თვალსაზრისით შესწავლაზე. დეტალურადაა განხილული მინჩხის სტიქარონების მიმართება შესაბამისი დღეების საკითხავებთან, რამაც ნათელყო, რომ იოანე მინჩხი ზედმიწევნით ასახავს იერუსალიმურ ტრადიციას. გაირკვა ისიც, რომ მისი შემოქმედება განსაკუთრებით ახლოსაა იერუსალიმის პატრიარქის — ელიას დიდმარხვის კვირიაკეებისათვის განკუთვნილ კანონებთან.

ამრიგად, ამ მხრივაც ორივე ავტორი ერთ ტრადიციას მისდევს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იერუსალიმური ტრადიცია ქართულ ღვთისმსახურებაში X საუკუნის ბოლომდე გრძელდება.

საინტერესო სურათი მოგვცა ერთი და იმავე განგების - დიდმარხვის კვირიაკეებისათვის განკუთვნილი იოანე მინჩხის საგალობლებისა და იოანე ბოლნელის ქადაგებების შედარებამ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ჩვენს თვალწინაა კლასიკური მწერლობის ნიმუშები ამ ტერმინისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის მიხედვით.

მინჩხის საგალობლების კითხვისას ყურადღებას იქცევს მათი ენა - ბუნებრივი და აუზღვრეველი ძველი ქართული. უცხო ენის გავლენის არავითარი კვალი, არც ერთი ხელოვნური კონსტრუქცია არ ჩრდილავს ამ დიდ პოეზიას.

ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას იოანე ბოლნელის ქადაგებების ენაზეც. მიუთითებენ, რომ ქადაგებებში შეიმჩნევა სპეციფიკური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი პოეტური ექსპრესია. შენიშნულია ის გარემოებაც, რომ „ქადაგებაში გატარებული ძირითადი აზრის აქცენტებისათვის იოანე ბოლნელი სვამს რიტორიკულ კითხვას და შემდეგ მის

გასამტკიცებლად მოჰყავს ცალკეული ფრაზები თუ ამ აზრის შემცველი ბიბლიური პასაჟები“ (ათონის მრავალთავი 1999: 86).

ყურადღებას იქცევს ბოლნელის ქადაგებებისათვის დამახასიათებელი კიდეც ერთი მხატვრული ხერხი: იოანე საბანისძის მსგავსად, მსმენელებს ის ჯერ სათანადოდ ამზადებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიაპყრობს მათ ყურადღებას ქადაგების ძირითად თემას.

„მოვედით, საყუარელნო, და ისმინეთ სიტყუათა ჩემთაჲ, რომელი მეგულების მე თხრობად თქუენდა, და მომიპყრენით მე სასმენელნი თქუენნი. დაუტევეთ ყოველივე ზრუნვაჲ ამის სოფლისაჲ, გულისგმა-ყვენით ზრახვანი ესე ჩემნი, განიწმიდენით გულნი თქუენნი და გონებანი და ისმინეთ წადიერად იგავი ესე...“ (ათონის მრავალთავი 1999: 211-212). ალბათ ზედმეტია მტკიცება იმისა, თუ როგორი მსგავსებაა ბოლნელის ამ (დ კვირიაკისათვის განკუთვნილი საკითხავის) სიტყვებსა და „აბოს წამების“ სათანადო მონაკვეთს შორის.

ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს იოანე ბოლნელის ქადაგებებისათვის დამახასიათებელი კიდეც ერთი თავისებურება - შესაბამისი თემების ორიგინალური, ფრიად საყურადღებო განმარტებანი. ამის დასტურია მისი თითქმის ყველა ქადაგება, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს „თარგმანებაი“ წარმოადგენს. იოანე ბოლნელი, როგორც ეგზეგეტი, უდავოდ იმსახურებს ყურადღებას და ვფიქრობთ, ცალკე კვლევასაც.

აქვე გვინდა შევხვით კიდეც ერთ საკითხს - ამ ორი ავტორის დიდმარხვის კვირიაკებისათვის განკუთვნილი თხზულებების ლიტურგიკული თვალსაზრისით კვლევას, რამაც საინტერესო სურათი მოგვცა.

ასე მაგალითად, ყველიერის კვირიაკეზე „ათონის მრავალთავში“ დადებულია შემდეგი საკითხავი: „კვრიაკე დღესა ყველითა აღებასა სახარებაჲ მათესი. თარგმანებაჲ სახარებისაჲ: „ეკრძალენით ქველის საქმესა“.... თქუებული წმიდისა იოვანე ბოლნელისაჲ...“

საკითხავთა იერუსალიმურ სისტემაში დიდმარხვის I (და არა ყველიერის) კვირიაკეზე დადებულია ორი საკითხავი: მათე 7,13-29 (იწრო და ვრცელ ბჭეთა შესახებ) და მათე 6,1-15 (ქველისსაქმისა და ლოცვის შესახებ).

უნდა ითქვას, რომ როგორც მინჩხთან, ისე ბოლნელთან I საკითხავი ასახულია, მაგრამ მოკლედ. ორივე ავტორთან განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება II საკითხავზე. მოვიტანთ მცირე ნაწყვეტს იოანე ბოლნელის ქადაგებიდან: „ვიცი და მრწამს, რამეთუ ყოველთავე გესმინოს თქუენ, რასა - იგი წმიდაჲ სახარებაჲ გუასწავებდა და გვთხრობდა დღენდელსა ამას დღესა პირითა უფლისაჲთა, ვითარმედ: „ეკრძალენით ქველისსაქმესა თქუენსა, რაითა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა...“ ხოლო შენ, რაჟამს იქმოდი ქველისსაქმესა შენსა, ნუ ჰქადაგებ წინაშე კაცთა, ვითარცა იგი ორგულთა და ფარისევლთა ყვიან, რამეთუ უყუარნ მათ, შორის ერსა და შორის უბანთა და შესაკრებელთა ზედა ყივიედ, რადთამცა იდიდნეს კაცთაგან...“ (ათონის მრავალთავი 1999: 203).

იოანე მინჩხთან ყველიერის კვირიაკეზე დადებულია რამდენიმე საგალობელი - 2 ცისკრისა, 2 - მწუხრის და 1 „მოიხილესა“. ყველა მათგანი ისევე, როგორც იოანე ბოლნელის ქადაგება, ასახავს ამ დღეისათვის განკუთვნილ II საკითხავს:

„წარმართთა ცხორებად მოსრული

სიტყუად ღ ღმრთისად, სიბრძნე და ძალი მისი

აჰა ესერა, განგუაკრძალებს

და გუასწავებს ყოველთა უმჯობესსა:

„ეკრძალენით ქველის საქმესა თქუენსა,

და ნუ ჰყოფთ სახილველად კაცთა

და განსცხადნეთ თქუენ საუკუნესა!“

(ყველიერისა კვირიაკესა. ცისკრად)

„იქმოდეთ საქმეთა

კეთილთა ფარულად

და ნუ ჰყოფთ სახილველად წინაშე კაცთა,

არამედ იყავნ ყოველთა შორის

ქველის საქმე თქუენი უჩინო,

და მოგაგოს ცხადად დაფარულთა

მეცნიერმან მამამან მაღალმან“

(ყველიერისა კვირიაკესა. მოიხილესა)

ვითარცა გონიერთა მნეთა

სიწმიდით,
გულითა წადიერად
შევიწყნარნეთ დღენი ესე,
ვითარცა ორმოცნი მთიებნი,
საღმრთოდთა მით ნათლითა
კიდეთა სოფლისათა ბრწყინვალედ განმანათლებელნი,
და დავიცვნეთ მცნებანი ესე
მაცხოვრისა ჩუენისანი,
რომელნი-იგი დღეს ესმნეს სასმენელთა ჩუენთა:
„ვეკრძალნეთ ქველისსაქმესა ჩუენსა
და ნუმცა რას ვჰყოფთ სახილველად წინაშე კაცთა,
მივსცეთ ფარულად დაფარულთა მხედველსა
და მოვუაგოს ჩუენ ცხადად საუკუნესა“

ყველიერისა კვირიაკესა, მწუხრი).

ამავე დროს, შეინიშნება სხვაობაც. საქმე იმაშია, რომ როგორც მინჩხი, ისე ბოლნელი ეყრდნობა არა მათეს VI თავის მხოლოდ I ნაწილს (მათე, 6,1 - 15), როგორც ესაა საკითხავთა იერუსალიმურ სისტემაში, არამედ ამ თავს მთლიანად - მათე 6,1-34. ეს იმდენად აშკარაა, რომ, შესაძლოა, დავუშვათ იერუსალიმურ სისტემაში საკითხავის სწორედ ამ სახით არსებობა.

საინტერესოა, რომ „იერუსალიმურ ლექციონარში“ ხორციელის კვირიაკეზე დადებულია სწორედ მთელი VI თავი მათეს სახარებიდან, რასაც მოწმობს მითითება საკითხავის დასასრულზე: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისა, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისა“ (კეკელიძე 1912: 56), რომელიც მათეს ამ (VI) თავის უკანასკნელ (34-ე) მუხლს წარმოადგენს და ამდენად, კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს. ამრიგად,

აღნიშნულ შემთხვევაში საგალობელი, ქადაგება და „იერუსალიმის განჩინება“ ერთად დგება და აზუსტებს ძველ იერუსალიმურ საკითხავს.

ანალოგიური სიტუაციაა დიდმარხვის III კვირიაკისათვის განკუთვნილ იოანე ბოლნელის ქადაგებასა და იოანე მინჩხის საგალობლებთანაც. ამ დღის ქადაგების სათაურში მითითებულია ლუკას სახარება: „გ კვრიაკესა. სახარებაი ლუკადსი: „და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი...“ თარგმანებად წმიდისა სახარებისაჲ. თქმული წმიდისა იოვანე ბოლნელ ებისკოპოსისაჲ“.

ადვილად შეიძლება მოინახოს ამ მითითების წყარო — ლუკა 15,1-7 — იგავი დაკარგული ცხვრის შესახებ. ეს თემა ვრცელადაა განხილული იოანე ბოლნელის მიერ. საინტერესოა, რომ ეს საკითხავი ასახულია ამ დღისათვის განკუთვნილ მინჩხის საგალობელშიც:

„რაჟამს შემოქმედი

მოწყალე

ექმნა წყალობით თვსთა დაბადებულთა,

მაშინ სახიერმან თვსსა მხოლოდშობილსა

ძესა არაჲ ჰრიდა,

რომელმან დაუტევნა ოთხმეოცდაათცხრამეტნი

იგი ცხოვარნი

და გარდამოჴდა და ძიებად შეცთომილისა

მის კაცისა

და მამასა მიჴგუარა“.

(მესამესა კვირიაკესა. მწუხრი. უფ. ღაღატყავსა)

საკითხავთა იერუსალიმურ სისტემაში ამ დღეს დადებულია ორი სხვა საკითხავი - მათე 20,1-16 (ვენახისმოქმედთა შესახებ) და ლუკა 18,9-14. იოანე მინჩხი და იოანე ბოლნელი აზუსტებენ იერუსალიმური საკითხების სისტემას. როგორც ჩანს, ამ დღეზე იერუსალიმურ სისტემაში დადებული იყო ლუკას სახარების მე-15 თავის დასაწყისი მუხლებიც.

ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც ჰომილეტიკისა და ჰიმნოგრაფიის მონაცემებს ადასტურებს „იერუსალიმის განჩინება“, რომელშიც II (და არა III) კვირიაკეზე მითითებულია ლუკას სწორედ ამ — მე-15 თავის 1-10-ე მუხლები (კეკელიძე 1912: 58).

იოანე მინჩხის შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, წყაროთა შეპირისპირების საფუძველზე, გამოთქვით თვალსაზრისი დიდმარხვის ე.წ. მოსამზადებელი კვირიაკეების (მეზვერისა და ფარისევლის, უძღები შვილის) გენეზისის შესახებ. ჭილ-ეტრატის იადგარის, იოანეზოსიმეს და გიორგი მთაწმიდელის შენიშვნების, აგრეთვე „მარხვანისათვის“ განკუთვნილი სახარების საკითხავების იერუსალიმური სისტემის შეპირისპირებით გამოიკვეთა ის გარემოება, რომ დიდმარხვის IV - ე.წ. ჯვართაყვანისცემის შვიდეული თავდაპირველად არ იყო განკუთვნილი ჯვრის ხსენებისათვის. იგი შეიცავდა სულ სხვა - მეზვერისა და ფარისევლის ხსენებას. ამავე ხსენებას ეძღვნება ელია პატრიარქის IV კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონი (იოანე მინჩხის პოეზია 1987: 33).

ელიასაგან განსხვავებით, თეოდორე სტუდიელის, იოსებ მგალობელისა და სტეფანე საბაწმიდელის IV შვიდეულისათვის განკუთვნილ საგალობლებში უკვე ასახულია ჯვრის თემა.

იოანე მინჩხის ამ დღისათვის განკუთვნილი საგალობლები არ იცნობს ჯვრის თემას, ისინი მეზვერისა და ფარისევლის თემაზეა დაწერილი. ამრიგად, ეს საგალობლები კალენდრის თვალსაზრისით ძველ ტრადიციას მისდევს; კერძოდ, იმავე ტრადიციას, რასაც ელია პატრიარქის აღნიშნული კანონი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წყარო (ელიას საგალობლის ჩათვლით) დიდმარხვის III კვირიაკისა და საერთოდ, III შვიდეულისათვის ადასტურებს უძღები შვილის ხსენებას.

ანალოგიური ვითარებაა იოანე ბოლნელის ქადაგებებშიც. დიდმარხვის III (გ) კვირიაკის ქადაგებასთან მითითებულია მეზვერისა და ფარისევლის (ლუკა 18, 1-14), ხოლო IV (დ) კვირიაკის ქადაგებასთან - უძღები შვილის იგავი.

„იერუსალიმის ლექციონარში“ IV კვირიაკეზე დადებულია ლუკას სახარების 18-ე თავის 1-14 მუხლები (კეკელიძე 1912: 60). იოანე ბოლნელსა და იოანე მინჩხთანაც ეს მონაკვეთია ასახული. დიდმარხვის საკითხავთა იერუსალიმურ სისტემაში კი დადებულია ლუკას სახარების 18-ე თავის 9-14-ე მუხლები. ამრიგად, ამ შემთხვევაში ქართული წყაროები ადასტურებს ამ საკითხავის უფრო ვრცელი (ლუკა 18, 1-14) სახით არსებობას.

იერუსალიმური სისტემით განწყობულ საკითხავთან ზუსტი თანხვედრაა იოანე ბოლნელის VI კვირიაკის ქადაგებასა და შესაბამისი შვიდეულის მინჩხის საგალობლებში, აგრეთვე

„იერუსალიმურ ლექციონარში“ - ლუკა 10, 25-37 (იგავი მოწყალე სამარიტელზე) (კეკელიძე 1912: 62).

ზუსტად თანხვდება იერუსალიმურ სისტემას სამივე ქართული წყარო დიდმარხვის VII (ზ) კვირიაკის მასალაშიც (იგავი მდიდრისა და ლაზარეს შესახებ).

ამრიგად, იოანე ბოლნელისა და იოანე მინჩხის დიდმარხვის კვირიაკებისათვის განკუთვნილი თხზულებების ზედმიწევნით თანხვედრა ერთმანეთთან და „იერუსალიმურ ლექციონართან“ საკითხავთა იერუსალიმური სისტემის დაზუსტების ან განსხვავებული ტრადიციის აღდგენის საშუალებას იძლევა.

დამოწმებანი:

ათონის მრავალთავი 1999: მაისურაძე მ., მამულაშვილი მ., ღამბაშიძე ა., ჩხენკელი მ. ათონის მრავალთავი. თბ.: 1999.

ესბროკი 1975: Esbroeck M.van. Les plus anciens Homeliaires georgiens. Louven: 1975. თარხნიშვილი 1956: Tarchnischvili M. Geschichte der kirchlichen georgischen Literatur. 1956.

კეკელიძე 1912: Кекелидзе К. Иерусалимский Канонарь VII века. Тифлис: 1912. ხაჩიძე 1987:

ხაჩიძე ლ. (რედაქტორი). იოანე მინჩხის პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ. თბ.: 1987.

მგალობლიშვილი 1991: მგალობლიშვილი თ. (რედაქტორი). კლარჯული მრავალთავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა. თბ.: 1991.

Lela Khachidze

Ioanne Minchkhi and Ioanne Bolneli

Summary

The comparative research of literary legacy of Ioanne Minchkhi and Ioanne Bolneli - the most famous representatives of Georgian Hymnography and Homiletics - is given in this issue.

Majority of homilies by Ioanne Bolneli are created for the Lent and are meant for the Sundays of this liturgical period.

The grate majority of the hymns by Ioanne Minchkhi are created for the same period. He has written Stichera for each day of the Lent. A group of hymns are written for the Sundays and Holidays of Lent by Ioanne Minchkhi. It's obvious that liturgical period of Lent is especially important for both of them.

This is a consequence of the general tendency - Georgian manuscripts dated by X-XIcc. make clear that hymnographical repertoire for the Lent is more developed than for other parts of liturgical year.

“Triodion” was the first collection which was separated from “Iadgari” (“Tropologion”). Ioanne Minchkhi was the compiler and one of the authors of this collection.

The comparative analyses of the lessons (hymns by Ioanne Minchkhi and homilies by Ioanne Bolneli) for Sundays of the Lent make clear that both of them follow Jerusalemite tradition. This tradition was widely spread in Georgian liturgy till the end of the X century.

The lessons for the Lent by Ioanne Minchkhi and Ioanne Bolneli represent the examples of classical legacy.

Homilies of Ioanne Bolneli usually explain the Holy Writ. Ioanne Bolneli and his “exegesis” should be studied.

In the issue the lessons for the Lent of these authors are studied as the liturgical texts in the context of Jerusalemite system of Biblical lessons and “Jerusalemite Lectionnaire”.

Lessons for the Lent created by Ioanne Minchkhi and Ioanne Bolneli and “Jerusalemite Lectionnaire” coincide with each other and in some cases reflect more archaic tradition than Jerusalemite system of Biblical lessons.